საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 19.

თბილისი 6-7.09.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

იოსებ სალუქვაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების კვლევების და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;

ნინო ძოწენიძე - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (ესწრებოდა პირველი შვიდი საკითხის განხილვას და მონაწილეობდა კენჭისყრაში);

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

მარინე ჟვანია - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი;

ლალი შაიშმელაშვილი - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე;

ქეთევან ფანჩულიძე - ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

სალომე ფრუიძე - ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო ბეგიაშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ანა ბუჩუკური - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლიკა გიორგაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ირმა ნოზაძე - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლაშა მარგიშვილი - ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის კოორდინატორი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს - ლაზეთის დამფუძნებელი მანანა უზარაშვილი;

2. შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ დირექტორი ლამზირა ბიწაძე;

3. შპს - რუსთავის კერძო სკოლა „მზეკაბანის“ დირექტორი ბელა გოცირიძე, კოორდინატორი ლიანა ლომიძე;

4. შპს - „ალბიონის“ დირექტორი ლუდმილა ჭანტურია, სასწავლო ნაწილის გამგე რუსუდან ციცხვაია;

5. შპს - „ინტელექტის“ დირექტორი ნუგზარ ეხვაია;

6. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის“ დირექტორი თეიმურაზ მენაფირე;

7. კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „მნათობი“ კაგელცეს დირექტორი ლია წულაძე; მენეჯერი ცია ცხოვრებაშვილი;

8. შპს - „გრაალის“ დირექტორის მოადგილე გრიგოლ ძოწენიძე;

9. შპს - საშუალო სკოლა „ლამპარის“ დირექტორი მანანა სილაგაძე;

10. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის დირექტორი რომან ტიკაძე;

11. შპს - „სასწავლო ცენტრ XXI“-ის დირექტორი ლალი აბაშიძე;

12. შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის დირექტორი ანზორ შამათავა;

13. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის წარმომადგენელი არ გამოცხადდა;

14. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - „მერმისის“ დირექტორი ქეთევან დოლიძე;

15. შპს - „დათას“ დირექტორი ჯუმბერ კეჭეხმაძე;

16. შპს - NK - ს დირექტორი ნუგზარ ყენია;

17. შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონის“ დირექტორი მარიამ დარჩიაშვილი;

18. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ დირექტორი მარიამ კლიმიაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი ანა ხიდაშელი;

19. შპს - „თამარიონის“ დირექტორი გულნარა კვიციანი.

ავტორიზაციის ექსპერტები:

ნინო ფეტვიაშვილი;
ნათია ქაჯაია;
ნელი ნასყიდაშვილი;
მიხეილ ტეფნაძე;
რევაზ ნინუა;
ლიანა ჩარკვიანი;
ლიანა კობესაშვილი;
მარიამ ხუციშვილი;
იანინა გიგიბერია.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19[30] სთ-ზე და შეამოწმა კვორუმის არსებობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს - ლაზეთის (საიდენტიფიკაციო კოდი: 220004242) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - „მზეკაბანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 216378818) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - „ალბიონის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 239868158) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - „ინტელექტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 240393409) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - კაგელცეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 216417740) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - „გრაალის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404901166) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - საშუალო სკოლა „ლამპარის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212705429) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - „სასწავლო ცენტრ XXI“-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - „მერმისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - „დათას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202901958) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - NK - ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200012743) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - „თამარიონის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 200013653) ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს - ლაზეთის (საიდენტიფიკაციო კოდი: 220004242) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ლაზეთის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ლაზეთის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს „ლაზეთს" დადებული აქვს ქირავნობის ხელშეკრულება შპს -,,სვანურ კოშკთან", რომლის თანახმადაც შპს ,,სვანური კოშკი" დროებით სარგებლობაში გადასცემს შპს „ლაზეთს" ქ. ზუგდიდში, ბესიკის ქუჩა №1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულის ნაწილს (350 კვ.მ.) თუმცა, ხელშეკრულება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ქონების მართლზომიერი ფლობა დასტურდება მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერით, ხოლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარში არ იყო მითითებული, რომ საჭირო იყო საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ითხოვა დრო იჯარის რეგისტრაციისათვის. საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ განმარტა, რომ ავტორიზაციის მიზნებისთვის საჭიროა უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, ასევე საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საავტორიზაციო ვიზიტის მომენტისთვის არსებული გარემოებების საფუძველზე. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს გაეცნო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და ამ დროისთვის თუ იყო უფლება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შპს „ლაზეთის" დირექტორმა აღნიშნა, რომ დასკვნა ფოსტით მიიღო საბჭოს სხდომის დღეს, ხოლო იჯარის ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

1.2 დაწესებულებას სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი არ გააჩნია.

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გააჩნიათ ხელშეკრულება სპორტულ მოედანთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე თუ სპორტის რა სახეობები აქვს სკოლას, დირექტორმა განაცხადა რომ სკოლაში სპორტის სახეობებია ფეხბურთი და ჭადრაკი, საბჭოზე გამოქვეყნდა ხელშეკრულება და გაირკვა, რომ ხელშეკრულების დადების თარიღია 2011 წლის 17 აგვისტო, ხოლო საექსპერტო ვიზიტი განხორციელდა აღნიშნულ თარიღამდე. ხელშეკრულების მხარეებია შპს „ლაზეთი" და შპს „ცენტრალური სტადიონი", ხოლო საგანი სპორტის გაკვეთილების ჩატარების უზრუნველყოფს სტადიონის ტერიტორიაზე. საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე ახლოს იყო თუ არა სტადიონი სკოლასთან, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ სტადიონი ახლოს იყო დაწესებულებასთან.

1.3 დაწესებულებას არ გააჩნია ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლაბორატორია სათანადოდ არ არის მოწყობილი და ავტორიზაციის შემთხვევაში შეიძენდა ლაბორატორიისთვის საჭირო ინვენტარს. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიაში იყო გარკვეული ინვენტარი კერძოდ კოლბები, მულაჟები და სხვ. მაგრამ არ იყო გამწოვი და სხვა დანადგარები, რაც საჭიროა სრულყოფილი ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის ლაბორატორიისთვის. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტის აზრს და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში შეიძენდა ლაბორატორიის ინვენტარს.

1.4 სკოლის ბიბლიოთეკას ცალკე შესასვლელი არ გააჩნია. ბიბლიოთეკაში შესვლა შესაძლებელია დირექტორის კაბინეტის გავლით. ბიბლიოთეკაში არ არის I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე, არ არის მე-7 კლასის არც ერთი სახელმძღვანელო; ხოლო მე–8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის სახელმძღვანელოები წარმოდგენილია არასრულად. ბიბლიოთეკაში არ არის მკითხველთა სარგებლობის აღრიცხვის ჟურნალი. ასევე დაწესებულებაში არ არის განსაზღვრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობისათვის ცალკე შესასვლელი ჰქონოდა ბიბლიოთეკას, რადგან ბიბილიოთეკაში მოხვედრა მხოლოდ დირექტორის კაბინეტის გავლითაა შესაძლებელი. საბჭოს თავმჯდომარე არ დაეთანხმა ექსპერტს შენიშვნის ამ ნაწილში, რადგან არ არსებობს ნორმა რომელშიც მითითებულია რომ ბიბლიოთეკას აუცილებლად ცალკე შესასვლელი უნდა ჰქონდეს.

1.5 დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო არა აქვს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, შესაბამისად არ უზრუნია მათ საჭიროებებზე, თუმცა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ყველაფერზე იზრუნებდა.

1.6 დაწესებულებას ვებგვერდი არ გააჩნია.

ვებ-გვერდთან დაკავშირებით წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ მომავალში ექნებოდათ ვებგვერდი, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა მომზადებულიყვნენ და ახალი საავტორიზაციო განაცხადი შემოეტანათ ცენტრში.

1.7 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და, შესაბამისად, არ არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

1.8 შპს - ლაზეთს შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის განხორციელებისთვის უსაფრთხოების კამერები არ გააჩნია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველაფერს გამოასწორებდნენ თუკი მიიღებდნენ ავტორიზაციას, საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ განაცხადა, რომ საბჭო შეზღუდულია კანონით და დაპირებაზე ავტორიზაციას ვერ მიანიჭებენ დაწესებულებას, რადგან ამ დროისათვის დაწესებულება მზად არ არის იმისათვის, რასაც კანონი ითხოვს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შენიშვნები ადვილად გამოსწორებადია, მაგრამ არსებითია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს, რასაც საბჭოს წევრი დავით კახნიაშვილი არ დაეთანხმა, რადგან ჭადრაკის გაკვეთილები ვერ ჩაანაცვლებდა სპორტის გაკვეთილებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ლაზეთის შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს "ლაზეთს" უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

2. შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა ,,ორნატის“ წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე:

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ შენობის ნაწილი საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს, არ არის აღჭურვილი სათანადო ინვენტარით და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სასწავლო მიზნებისათვის. ამდენად, დაწესებულება ფლობს 1300 კვ. მ.-ს, მაგრამ სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ფართი შეადგენს 880,73 კვ. მ.-ს.

2.2 დაწესებულებას ვიზიტის დროს არ ჰქონდა ლაბორატორია, მაგრამ წარმოადგინა შპს - ,,ინსტა ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, თანხის გადახდიდან არაუგვიანეს 60 დღის ვადაში შპს - ,,ინსტა ჯორჯიამ“ დაწესებულებას უნდა მიაწოდოს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგია-ანატომიის ლაბორატორიების აღჭურვილობა. წარმოდგენილი იქნა აგრეთვე თანხის ნახევარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ვიზიტის დროს შენობის მესამე სართული მართლაც საჭიროებდა რემონტს, მაგრამ ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ დაიწყო სარემონტო სამუშაოები და უახლოეს მომავალში ფართი აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით, დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს, გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის დროს.

მეორე შენიშვნასთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იდენტურ შენიშვნაზე საბჭოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ თუ კი თანხის ნაწილი მაინც გადახდილია სტანდარტი დაკმაყოფილებულია. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამებისა და მატერიალური რესურსის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 300-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმოადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ექსპერტი აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 210 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 210-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 210-ით.

3. შპს - „მზეკაბანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 216378818) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „მზეკაბანის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „მზეკაბანის“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „მზეკაბანის“ თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელშიც განთავსებულია სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობის (I-VI კლასებში) - ჭადრაკის სწავლების შესაბამისი ინვენტარი. რაც შეეხება სკოლის მიერ (საბაზო და საშუალო საფეხურებზე) არჩეულ სპორტის სხვა სახეობებს - ჩოგბურთს და ფეხბურთს - სკოლა სარგებლობს ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული სპორტული მოედნით, რომელიც სკოლასთან ახლოს მდებარეობს. საექსპერტო ვიზიტის დროს სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი და განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული სპორტული მოედნის სკოლის სარგებლობაში გადაცემის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინეს ბრძანების პროექტი ქონების გადაცემის შესახებ, იმის გამო, რომ მერიაში იმ პერიოდისთვის არ იყო უფლებამოსილი პირი, ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, აღნიშნული უკვე გაფორმებულია და წარმოდგენილია.

ხელშეკრულებიდან ირკვევა რომ, გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება სკოლასა და რუსთავის თვითმმართველობას შორის, სპორტული მოედნის სარგებლობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა რომ, ვინაიდან ვიზიტის დროს დაწყებული იყო პროცესი, სპორტული მოედანი უნდა ჩაეთვალოს სკოლას, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

1.2 საექსპერტო ვიზიტის დროს ვებგვერდი დამუშავების პროცესში იყო და ის ნაწილობრივ ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფს ვერ წარედგინა დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ლევან მადათოვს, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა შენიშვნა, ლევან მადათოვმა განმარტა, რომ დაწესებულების ვებ-გვერდია www.mzekabani.blogspot.com და მხარემ ექსპერტთა ვიზიტის დროს ვერ წარმოადგინა დომენის ხელშეკრულება, ანუ არ დასტურდება, რომ ვებ-გვერდი ეკუთვნის დაწესებულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ უკვე გააფორმეს ახალი დომენის ხელშეკრულება „კავკაზუს ონლაინთან“ .ge დომეინზე. სხდომაზე წარმოადგენილ იქნა გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.3 სკოლას აქვს 1 ცალი ვიდეოკამერა და ე. წ. როუტერი. ვიდეოკამერით კონტროლდება შენობის მხოლოდ ნაწილი (მეორე სართული). უსაფრთხოების კამერების მიწოდებისა და მონტაჟის შესახებ სკოლამ საექსპერტო ვიზიტის დროს, 2011 წლის 8 აგვისტოს, შპს ,,გლობოტექთან" გააფორმა №9 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად:

,,შემსრულებელი იღებს ვალდებულებას, დამკვეთის კუთვნილ ობიექტზე დაამონტაჟოს ვიდეოკონტროლის სისტემა მოწოდებული ინვოისის საფუძველზე 15 სექტემბრამდე.

დამკვეთი იღებს ვალდებულებას 12 სექტემბერს შპს ,,გლობოტექის" ანგარიშზე ჩარიცხოს ინვოისში მითითებული თანხა".

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ლევან მადათოვს და ჰკითხა აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესრულების შემდეგ თუ იქნებოდა სტანტარტი დაკმაყოფილებული, ლევან მადათოვმა დაადასტურა რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 175-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 140-მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „მზეკაბანის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7
წინააღმდეგი - 0

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - მზეკაბანს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სკოლას სურს დამატებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პირველ განხორციელება, და ისაუბრა პროფესიული განათლების ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, შპს – ,,მზეკაბანს" სურვილი აქვს, განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

1. ბუღალტერი, მესამე საფეხური;
2. მდივან–რეფერენტი, მეორე და მესამე საფეხურები;

3. კერამიკის ოსტატი, პირველი, მეორე და მესამე საფეხურები;
4. თექის ოსტატი, მეორე და მესამე საფეხურები;
5. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, პირველი, მეორე და მესამე საფეხურები.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა მხოლოდ შემდეგი პროგრამები:

1. თექის ხელოსანი, მესამე საფეხური;
2. ბუღალტერი, მესამე საფეხური;
3. სტილისტი (ქალის, მამაკაცის), მესამე საფეხური;
4. ოფისის მენეჯერი (მდივან–რეფერნეტი), საფეხური არ ფიქსირდება;
5. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროგრამა, საფეხური არ ფიქსირდება;
6. კერამიკის ოსტატის მხოლოდ სილაბუსი.

1.2 თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

1.2.1 პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, თუმცა მას თან არ ახლავს სასწავლო გეგმა და, შესაბამისად, ვერ დგინდება, რა სასწავლო კომპონენტებია გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში და როგორია პროფესიული სტუდენტის დატვირთვა;

1.2.2 პროგრამას არ ახლავს შესაბამისი სილაბუსები. წარმოდგენილია, მხოლოდ ერთი სილაბუსი ,,თექის ხელოსანი", რომელიც გაწერილია 320 საათზე. პროგრამის მიხედვით, პროგრამა არის 60-კრედიტიანი და სტუდენტის დატვირთვა არის 1500 საათი;

1.3 ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

1.3.1 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მეთოდოლოგია;

1.3.2 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;

1.3.3 პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, თუმცა მას თან არ ახლავს სასწავლო გეგმა და, შესაბამისად, ვერ დგინდება, რა სასწავლო კომპონენტებია გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში და როგორია პროფესიული სტუდენტის დატვირთვა;

1.3.4 პროგრამას არ ახლავს შესაბამისი სილაბუსები. წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სილაბუსი „ბუღალტერ–მოანგარიშე", რომლის მიხედვითაც, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა თეორიულ ნაწილში მოიცავს 160 საათს (მათ შორის, 50 საათი ეთმობა მოდულებს), ხოლო 420 საათი – საწარმოო პრაქტიკას. თავად პროგრამა არის 45-კრედიტიანი და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა უნდა იყოს 1125 საათი;

1.3.5 მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ,,ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია", ხოლო სტანდარტის მიხედვით უნდა იყოს: ,,ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ბუღალტერ–მოანგარიშე";

1.4 ოფისის მენეჯერის (მდივან–რეფერენტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

1.4.1 პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, თუმცა მას თან არ ახლავს სასწავლო გეგმა და, შესაბამისად, ვერ დგინდება, რა სასწავლო კომპონენტებია გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში და როგორია პროფესიული სტუდენტის დატვირთვა;

1.4.2 პროგრამას არ ახლავს შესაბამისი სილაბუსები. წარმოდგენილია მხოლოდ ერთი სილაბუსი ,,მდივან–რეფერენტი", რომლის მიხედვითაც, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა მოიცავს 128 საათს. თავად პროგრამა არის 30-კრედიტიანი და პროფესიული სტუდენტის დატვირთვა უნდა იყოს 750 საათი;

1.4.3 პროგრამაში გაკეთებულია შემდეგი სახის ჩანაწერი: „პროგრამა არის ორსაფეხურიანი. თითოეული საფეხურის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი“. აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ დაწესებულებაში მე–2 და მე–3 საფეხურის პროგრამები ცალ–ცალკე დამტკიცებული არ არის;

1.4.4 მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „მდივან–რეფერენტი“, პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს „ოფისის მენეჯერის (მდივან–რეფერენტი) პროფესიული კვალიფიკაცია“ შესაბამისი საფეხურის მითითებით;

1.4.5 სწავლის შედეგები გაწერილი არ არის პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კატეგორიებით, 6 კომპონენტის გათვალისწინებით;

1.4.6 შეფასების სისტემა „D”, „E”, „F”, „FX” შეფასების ნაწილში არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს;

1.5 ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეამოწმა კერამიკის ოსტატის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რადგან წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ერთი სილაბუსი;

1.6 სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

1.6.1 პროგრამაში არ ჩანს შესაბამისი საფეხური;

1.6.2 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის პროგრამის მოცულობა;

1.6.3 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის მეთოდოლოგია;

1.6.4 პროგრამა შედგენილი არ არის პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად;

1.6.5 პროგრამაში გათვალისწინებული არ არის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა;

1.6.6 მისანიჭებელი კვალიფიკაცია არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. კერძოდ, პროგრამის მიხედვით, მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის „მსუბუქი ტანსაცმლის მკერავი“, პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი მისანიჭებელი კვალიფიკაცია უნდა იყოს „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაცია“ შესაბამისი საფეხურის მითითებით;

1.6.7 სწავლის შედეგები გაწერილი არ არის პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კატეგორიებით, 6 კომპონენტის გათვალისწინებით;

1.6.8 პროგრამას თან არ ახლავს სასწავლო გეგმა და, შესაბამისად, ვერ დგინდება, რა სასწავლო კომპონენტებია გათვალისწინებული პროგრამის ფარგლებში და როგორია პროფესიული სტუდენტის დატვირთვა. ვერ დგინდება წარმოდგენილი სილაბუსების შესაბამისობა პროგრამასთან, რადგან არ ჩანს, რომელი სასწავლო დისციპლინები ისწავლება პროგრამის ფარგლებში;

1.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების სისტემის შესახებ, თუმცა მისანიჭებელი კვალიფიკაციები არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტებს, სწავლის შედეგები გაწერილი არ არის პროფესიული სტანდარტებითა და კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კატეგორიებით, 6 კომპონენტის მიხედვით. შეფასების სისტემა „D“, „E“, „F“, „FX“ შეფასების ნაწილში არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე–4 მუხლის მე–2 პუნქტის მოთხოვნებს;

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს შენიშვნა უნდა მოიხსნას, ვინაიდან კატალოგთან დაკავშირებული ყველა შენიშვნა იმეორებს პროგრამებთან დაკავშირებულ ხარვეზებს და არ უნდა ფიქსირდებოდეს როგორც ცალკე შენიშვნა. ამ მოსაზრებას დაეთანხმა საბჭო.

1.8 დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს არ არსებობდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

1.9 დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შემუშავებული არ იყო საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

1.10 დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ შპს-მზეკაბანის წარმომადგენლებს, განუცხადა რომ მისი აზრით ისინი აშკარად მზად არ იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამები სრულიად ახალი იყო სკოლებისათვის, და გამოცდილების მიუხედავად პროფესიული განათლების ნაწილში გამოცდილება არ ჰქონდათ, სკოლაში მუშაობდა ქალბატონი, რომელიც ადრე მუშაობდა პროფესიული განვითარების ცენტრში და ძირითადად მას ეყრდნობოდნენ, სკოლას ეგონა რომ თვითშეფასების კითხვარში მხოლოდ სურვილი უნდა დაეფიქსირებინა და რეალურად 2-3 თვეში აპირებდნენ პროფესიული პროგრამების განხორციელებას, მაშ შემდგე რაც გაიგეს რომ ყველაფრის მომზადება იყო საჭირო და ცაიტნოტში აღმოჩდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპისთვის საბჭო თავს შეიკავებდა სკოლისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭებას და მიმართა მხარეს რომ გამოესწორებინა ხარვეზები და მომავალში შემოეტანათ განაცხადი ცენტრში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხარვეზები იყო ადამიანურ რესურსთან მიმართებითაც, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ საჭიროდ არ ჩათვალა ამ შენიშვნებზე საუბარი რადგან არსებული ხარვეზი საკმარისია იმისვის რომ სკოლას უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „მზეკაბანისათვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად, შპს - ,,მზეკაბანს" უარი ეთქვას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.

4. შპს - „ალბიონის“ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლალი შაიშმელაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1 სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა 2011-2012 სასწავლო წლის საათობრივი ბადის პროექტი, რომელშიც არ არის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა.

სავალდებულო საგნებიდან არ ისწავლება სპორტი (XII კლასში) და ცეკვა (IV კლასში). დაწყებით საფეხურზე ისწავლება მხოლოდ ჭადრაკი, ასევე არ იყო წარმოდგენილი სასკოლო საათობრივ ბადეში აღნიშნული არჩევითი საგნის - „ავტოსაქმის“ მიზნები, სწავლის შედეგები და თემატიკა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩევითი საგნების ჩამონათვალის არ არსებობასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ რა სახის დოკუმენტების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას აღნიშნული ჩამონათვალი არ გააჩნდა. რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ სკოლაში ვერ იპოვეს ვერანაირი დოკუმენტი სადაც მსგავსი ინფორმაცია იქნებოდა მოცემული.

1.2 სასწავლო პროგრამების უმრავლესობა არასრული სახისაა, მათში არ ჩანს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან შესაბამისობა, შეფასების პრინციპები, ანუ ფასდება ქულით თუ ჩათვლით, რამდენია შემაჯამებელი სამუშაოების რაოდენობა, როგორ, რა კრიტერიუმებით ხდება მოსწავლის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება.

1.3 დოკუმენტაციის თანახმად, მოსწავლეებს აფასებენ „ყოფაქცევაში“, რაც დაუშვებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლამ ვერ წარმოადგინა შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობისა და სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის ამსახველი მასალა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

პირველ შენიშვნასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს საატესტაციო გამოცდების გამო, მშობელთა უმრავლესობის თხოვნით სპორტის გაკვეთილების ნაცვლად ტარდებოდა უცხო ენისა და მშობლიური ენის გაკვეთილები. სკოლამ მიზანშეწონილად მიიჩნია,რომ საატესტაციო გამოცდები სკოლის მოსწავლეებისთვის წარმოადგენდა სიახლეს და გამოცდების უკეთ დასაძლევად მიმართეს აღიშნულ მეთოდს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმებული იყო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელშიც ცვლილებები იქნა შეტანილი და იგი

საბოლოო სახით წარმოადგინეს სხდომაზე. საბჭომ შეამოწმა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი.

მეორე შენიშვნასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში ავტოსაქმე წლების განმავლობაში ისწავლებოდა, როგორც დამატებითი საგანი. საგნის პედაგოგი ხელმძღვანელობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სხდომის მიმდინარეობისას შეეძლო წარმოედგინა სკოლის მიერ დამტკიცებული პროგრამა და სილაბუსი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი შემოწმებულ იქნა ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წამომადგენელს, რა საფუძვლით ასწავლიდნენ ჭადრაკს მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. სკოლის დირექტორი არ დაეთანხმა ამ ნაწილში ექსპერტთა შეფასებას და აღნიშნა, რომ სპორტის ეს სახეობა ისწავლებოდა მაღალ კლასებშიც და ამას გარდა დაწყებითში ჭადრაკის გარდა სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა ფეხბურთშიც.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, თუ რატომ არ მოხდა აღნიშნული გარემოების დასკვნაში დაფიქსირება. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას ვიზიტის დროს არ წარმოუდგენია არავითარი დოკუმენტი, (სილაბუსი) იმის თაობაზე, რომ დაწყებითში ჭადრაკის გარდა სხვა სპორტის სახეობაც ისწავლებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა სხდომაზე განაცხადა, რომ სკოლა მხოლოდ გეგმის მიხედვით ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში და ძირითადი საგნების გარდა სხვა საგნებში სილაბუსები არ ჰქონდა შემუშავებული. შესაბამისად, სპორტის, სახვითი ხელოვნების და ავტოსაქმის საგნებში ხელმძღვანელობდნენ თემა-კალენდარული გეგმებით. თუმცა, მათივე განმარტებით ამჟამად სკოლაში თითოეული საგნის მიხედვით შემუშავებულია სილაბუსები.

სხდომის თავმჯდომარემ ფეხბურთის, როგორც სასწავლო დისციპლინის დაწყებით და საბაზო საფეხურზე სწავლებასთან მიმართებით, კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რის საფუძველზე დაადგინეს, რომ სპორტის აღნიშნული სახეობა არ ისწავლებოდა ზემოხსენებულ საფეხურებზე.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა გაწერილი სასწავლო საათობრივ ბადეში, თუ რომელ კლასში სპორტის რა სახეობა ჰქონდა ჩასმული და შესაბამისად, შეუძლებელი გახდა აღნიშნული საკითხის სიღრმისეულად გამოკვლევა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს და განუცხადა, რომ შეეძლო თითოეული საგნის სილაბუსი სხდომაზე წარმოედგინა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულება ვალდებული იყო ექსპერტებისთვის ვიზიტის დროს წარედგინა თითოეული დოკუმენტი, ხოლო საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, ავტორიზაციის მაძიებლის ავტორიცაზიის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად ყველა დოკუმენტი და სკოლაში არსებული პირობები ადგილზე გადაამოწმოს. ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან საბჭო საექსპერტო ვიზიტს ვერ განახორციელებდა მაძიებლის განთავსების ადგილზე. სწორედ ამიტომ კანონმდებლობამ გაითვალისწინა საექსპერტო ვიზიტის ინსტიტუტი და სწორედ ექსპერტების მიერ რეალურად შემოწმებულის საფუძველზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება. ბუნებრივია, საბჭო მიმართავს ხოლმე მტკიცებულებათა ადილზე გადამოწმებისა და შესწავლის პრაქტიკასაც, მაგრამ ეს მაშინ, როცა საკითხი სადაოა და ამავდროულად, დოკუმენტური გადამოწმება ფიზიკურადაა შესაძლებელი საბჭოს სხდომაზე და არ არღვევს საბჭოს მუშაობის დადგენილ წესს.

სკოლის წარმომადგენელთა განმარტებით ექსპერტებს აღნიშნული დოკუმენტები არ მოუთხოვიათ ვიზიტის დროს, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულების ინტერესში უნდა შედიოდეს საკუთარი ინიციატივით წარუდგინოს ექსპერტებს ყველა საჭირო დოკუმენტაცია. თუმცა, ამავდროულად ექსპერტიც ვალდებულია ცასახად განუსაზღვროს დაწესებულებას თუ რა დოკუმენტები ესაჭიროება საკითხის გამოსაკვლევად.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა მოსაზრების დაფიქსირება ექსპერტთა შენიშვნასთან დაკავშირებით, რომლის შესაბამისად სკოლას არ გააჩნდა შეფასების პრინციპები.

დაწესებულების განმარტებით შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სკოლის კათედრის ოქმებში, შინაგანაწესში და თითქმის ყველა სილაბუსში. მაგრამ, შესაძლოა ცალკეული საგნის სილაბუსში გამორჩენილი იყო აღნიშნული კომპონენტი.

ექსპერტთა შემდეგ შენიშვნასთან დაკავშირებით კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა და სთხოვა მოეხსენებინა, ხდებოდა თუ არა სკოლაში მოსწავლეების შეფასება ყოფაქცევაში.

დაწესებულების დირექტორის განმარტებით სკოლაში მოსწავლეების შეფასება არ ხდებოდა ყოფაქცევის გათვალისწინებით. უბრალოდ, სკოლას ჰქონდა არჩეული რეიტინგული სწავლების მეთოდი, რომლის თანახმად ყოველი კვირის ბოლოს ხდებოდა მოსწავლეთა რეიტინგული სიის გამოქვეყნება და წარჩინებული მოსწავლეების წახალისება. რეიტინგის განსაზღვრისთვის სკოლა იყენებდა სხვადასხვა კრიტერიუმს, მათ შორის ერთ-ერთი პირობითი ხასიათის კრიტერიუმი იყო ყოფაქცევა. მაგრამ, მათი განმარტებით, სკოლაში მოსწავლეებს ცალკე ქულა ყოფაქცევაში არ ეწერებოდათ. მოცემულ საკითხთან მიმართებით, საბჭომ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა პოზიცია და არ გაითვალისწინა ექსპერტის შენიშვნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

2.1 სკოლას არ აქვს საკუთარი სპორტული დარბაზი ან მოედანი, მაგრამ ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სენაკის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებასთან, ქ. სენაკში, რუსთაველის ქ. №213-ში მდებარე სპორტული დარბაზით სარგებლობის შესახებ, სპორტის მეცადინეობის ჩასატარებლად. ხელშეკრულების თანახმად, „ალბიონს“ დარბაზი გადაეცემა კვირაში ერთხელ, 13.00 – 14.00 საათების განმავლობაში. თუმცა, საათობრივ ბადეში I-VI კლასებს სპორტის გაკვეთილები (გარდა ჭადრაკისა) საერთოდ არ აქვთ გათვალისწინებული, ხოლო VII – XI კლასებს სპორტი (კერძოდ, ფეხბურთი როგორც ბიჭებისთვის, ასევე გოგონებისთვის) უტარდებათ სამშაბათობით, VII, VIII კლასებს 13:00 საათიდან, ხოლო IX, X, XI კლასებს 14:00 საათიდან, ერთსა და იმავე დროს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, განემარტა თუ როგორ ატარებდნენ ,,ალბიონის" დარბაზში სპორტის გაკვეთილებს ორი საათის განმავლობაში, თუ ხელშეკრულებით დარბაზით სარგებლობის უფლება აქვთ მხოლოდ ერთი საათით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მოედანი თავისუფალია ხელშეკრულებით განსაზღვრული საათების შემდეგაც და შესაბამისად მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ.

2.2 სკოლას აქვს ქიმია-ფიზიკა-ბიოლოგიის სწავლებისათვის საჭირო, სასწავლო გეგმის შესაბამისი ლაბორატორიის აღჭურვილობა, ინვენტარი, რეაქტივები, მაკეტები, რაც ცენტრის მიერ რეკომენდირებული ლაბორატორიის აღჭურვილობის ნაწილს წარმოადგენს. სკოლის ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლაბორატორიის არასრული კომპლექტის შეძენის შესახებ არსებული ლაბორატორიის შესავსებად, რაზეც მიიღო უარი. ამჟამად სკოლა საკუთარი ძალებით გეგმავს ლაბორატორიის აღჭურვილობის დადგენილი ჩამონათვალიდან განსხვავებული ერთეულების შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ამ ნაწილში შენიშვნა მოიხსნა.

2.3 სასკოლო შენობა საცხოვრებელი დანიშნულებითაა აგებული. სკოლაში 10 საკლასო ოთახია და ყველას აქვს ბუნებრივი განათება. ოთახების უმრავლესობა ერთმანეთში გამავალია. სკოლას არ აქვს დერეფნები. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა თბება შეშის ღუმელებით, ხოლო სამასწავლებლო და ერთი საკლასო ოთახი თბება ელექტროღუმელით. სკოლამ ვერ წარმოადგინა

შეშის, ღუმელების და ელექტროგამათბობლების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სკოლის ეზოში არის ერთი ერთადგილიანი საპირფარეშო, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები (გოგონებიც და ბიჭებიც) და პედაგოგები. საპირფარეშო არ არის კეთილმოწყობილი, არ იკეტება კარი. მასში არ არის დამონტაჟებული წყალგაყვანილობის სისტემა. სისუფთავის დასაცავად საპირფარეშოსთან ახლოს დამონტაჟებულია წყლის ავზი.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დასტურდებოდა თუ არა სკოლის საკუთრების უფლება გასათბობ საშუალებებზე. რომელზეც ექსპერტმა განაცხადა თანხმობა.

საბჭოს წევრმა ქალბატონმა ლალი ღოღელიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენად იყო უზრუნველყოფილი საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა ისეთ პირობებში, როცა საკლასო ოთახებს საერთო შესავლელი აქვს.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლაში მსგავსი საკლასო ოთახი მხოლოდ ორია და შესაბამისად, აღნიშნული გარემოება დიდ დაბრკოლებას ვერ შეუქმნიდა საგაკვეთილო პროცესების წარმართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, მოეხსენებინა, თუ რა მდგომარეობაში იყო სკოლის სარგებლობაში არსებული მეორე შენობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე შენობაში გამიჯნული იყო მხოლოდ სააქტო დარბაზი და სველი წერტილები. საკლასო ოთახები არ იყო განთავსებული.

სკოლის დირექტორის განმარტებით დაწესებულება გამსახურდიას ქუჩაზე სარგებლობს სკოლის დირექტორის საკუთრებაში არსებული სახლით. შენობიდან დაწესებულება იყენებს მხოლოდ სააქტო დარბაზს. დირექტორის გადაწყვეტილებით მომავალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე აპირებს აღნიშნულ შენობაში საკლასო ოთახების გაკეთებას. საპირფარეშოსთან დაკავშირებულ შენიშვნაზე სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ სკოლის შენობას მიაშენეს ახალი საპირფარეშო.

2.4 სკოლას აქვს 5 კომპიუტერი (მათ შორის, 4 ლეპტოპი), მაგრამ სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა მათი შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას კომპიუტერები ბალანსზე აყვანილი. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. დაინტერესებულმა მხარემ სხდომაზე წარმოადგინა კომპიუტერებზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები. საბჭომ შეამოწმა და გამოარკვია, რომ დაწესებულებას აქვს კომპიუტერეების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.5 სკოლას აქვს პირველადი სამედიცინო მომსახურების კომპლექტი, ასევე ხელშეკრულება აქვს დადებული მეზობლად მცხოვრებ ექიმ-პედიატრთან საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევის შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელის სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება აღნიშნულ შენიშვნაზე. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას ხელშეკრულება დადებული აქვს ექიმ-პედიატრთან, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში სამედიცინო მომსახურებას. დირექტორმა საბჭოზე წარადგინა ხელშეკრულება და ექიმ-პედიატრის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული დოკუმენტების გადამოწმება. საბჭომ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრება და არ გაითვალისწინეს ექსპერტის შენიშვნა.

2.6 ვიდეოკამერები სკოლას არ აქვს. მათი შეძენა გარე და შიდა პერიმეტრის კონტროლისათვის სკოლას გათვალისწინებული აქვს განვითარების ერთწლიანი გეგმით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თავისი მოსაზრება დააფიქსიროს ექსპერტთა შენიშვნაზე, რომლის თანახმადაც დაწესებულებას არ აქვს ვიდეოთვალი შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლის უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით სკოლას ჰყავს დარაჯი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოების დაცვას. რაც შეეხება ვიდეოთვალს, იგი სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია, თუმცა, აპირებენ შეძენას. დირექტორმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს დადებული ოპერატორთან, რომელიც საატესტაციო გამოცდების დროს სკოლას უწევს შესაბამის მომსახურებას. ამას გარდა, სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელებისას სკოლაში ვიდეოთვალის არსებობის აუცილებლობის წესი ახალი შემოღებული იყო და სკოლამ ვერ შეძლო ექსპერტთა ვიზიტამდე ამ ხარვეზის შევსება.

თავმჯდომარემ მხარის საყურადრებოდ განმარტა, რომ ოპერატორთან მსგავსი ტიპის ხელშეკრულების დადება, დაწესებულებას არ ათავისუფლებდა სკოლაში ვიდეოთვალის დამონტაჟების ვალდებულებისაგან.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ როდის განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში და შეესაბამებოდა თუ არა დაწესებულების არგუმენტი რეალობას. ექსპერტის განმარტებით სკოლაში ვიზიტი განხორციელდა 2011 წლის ივლისის ბოლოს, ხოლო ახალი რეგულირება ვიდეოთვალთან დაკავშირებით ამოქმედდა მანამდე, 2011 წლის 15 ივლისს. საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით გადამოწმებულ იქნა აღნიშნული ინფორმაცია და დადგინდა, რომ დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე ვიდეოთვალთან დაკავშირებული რეგულირება უკვე ამოქმედებული იყო.

2.7 სკოლაში არის 2 ცეცხლსაქრობი, მაგრამ ისინი განთავსებული სკოლის ეზოში სპეციალურად მოწყობილ სტენდზე და არა შენობის სართულებზე, რაც საჭიროების შემთხვევაში გაართულებს მათ გამოყენებას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოებებიდან ცენტრის თანამშრომელმა ლალი შაიმელაშვილმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

1. სკოლაში მუშაობს 23 პედაგოგი. აქედან 21 პედაგოგის კვალიფიკაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. დაწყებითი საფეხურის პედაგოგის, პლანიშა ანთიას, უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად წარმოდგენილ იქნა ცნობის ასლი. გაბუნია გოდერძის, რომელიც ატარებს სპორტის, კერძოდ, ფეხბურთის გაკვეთილებს, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს პედაგოგთა კვალიფიკაციასთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ გაბუნია გოდერძის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით შენიშვნის საფუძველი აღარ არსებობს, რადგან ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო იგი გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

სხდომის თავმჯდომარემ სკოლის დირექტორს ჰკითხა დაწყებითი საფეხურის პედაგოგს, პლანიშა ანთიას ჰქონდა თუ არა უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, პლანიშა ანთიას მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება არ აქვს, იგი წლების განმავლობაში ასწავლიდა საჯარო სკოლაში და შესაბამისად, დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონეა.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა დაწესებულებას ჰყავდა თუ არა დაწყებით საფეხურზე სხვა პედაგოგი.

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ სკოლას პლანიშა ანთიას გარდა დაწყებითი საფეხურზე სხვა პედაგოგებიც ჰყავს.

საბჭომ იმსჯელა ადამიანური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

21:05 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 21:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ალბიონის“ ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 1
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ” ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ალბიონს” უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

5. შპს - „ინტელექტის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 240393409) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1. სკოლის ბიბლიოთეკაში არასრულად არის წარმოდეგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელმძღვანელოები, კერძოდ, ბიბლიოთეკაში არ არის: ქართული ენისა და ლიტერატურის (XII კლასის), ფიზიკის (XI კლასის), ისტორიის (XI, XII კლასების), მათემატიკის (X, XI, XII კლასების), ხელოვნების (VI, IX, X კლასების) სახელმძღვანელოები.
ბიბლიოთეკაში არის: ქიმიის მხოლოდ X კლასის, სამოქალაქო განათლების მხოლოდ IX კლასის, მუსიკის მხოლოდ VII კლასის სახელმძღვანელოები;

1.2 სკოლას აქვს დომეინური სახელი, თუმცა ვებგვერდი დამუშავების პროცესშია და ამჟამად არ ფუნქციონირებს;

1.3 დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საჭიროების შემთხვევაში ისინი მიმართავენ ადგილობრივ პოლიკლინიკას, რომელიც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული (მანძილი - 50 მეტრი);

1.4 სკოლას არ ჰყავს წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი;

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს ბიბლიოთეკასთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დროს ბიბლიოთეკიდან წიგნების გარკვეული ნაწილი მასწავლებლებს ჰქონდათ გატანილი და ამ დროისათვის, ბიბლიოთეკაში წიგნები უკვე დაბრუნებულია. რაც შეეხება, იმ სახელმძღვანელოებს, რომლებიც ბიბლიოთეკაში არ დაფიქსირდა, დაწესებულებამ ისინი ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ შეიძინა და სხდომაზე წარმოადგინა შესაბამისი შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სხდომის თავჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა გადაემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაერთო საქმისათვის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება ვებგვერდთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვებგვერდის შექმნა გაჭიანურდა შესაბამისი მომსახურების გამწევი პირის გამო და უახლოეს მომავალში იგი დასრულებულ სახეს მიიღებს.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, იყო თუ არა განთავსებული საიტზე საკონტაქტო ინფორმაცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს დომეინური სახელი და დაკავებული აქვს ვებ. სივრცე, თუმცა საიტზე მიმდინარეობს რეკონსტრუქცია, შესაბამისად, არ დევს არანაირი ინფორმაცია.

თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, გაფორმებული ჰქონდა თუ არა ხელშეკრულება ადგილობრივ პოლიკლინიკასთან სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება, თუმცა არსებობდა ზეპირი მოლაპარაკება. ხელშეკრულების გაფორმება დაწესებულებას არ ჩაუთვლია საჭიროდ, ვინაიდან სამედიცინო მომსახურების გაწევა, ისედაც შედის პოლიკლინიკის მოვალეობებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლაში არის მინი აფთიაქი.

საბჭოს თავჯდომარემ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ გეოგრაფიული მდებარეობით სკოლის სიახლოვე ადგილობრივ პოლიკლინიკასთან არ ნიშნავს, რომ სკოლა აკმაყოფილებს ამ კუთხით დადგენილ სტანდარტს. ამავე ლოგიკით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ნებისმიერ პირს შეუძლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ არ ჰყავდა სკოლას წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან სკოლას იჯარით აქვს აღებული ფართი, წესრიგის დაცვას არსებული ფართის მთელს ტერიტორიაზე ახორციელებს შპს ,,ტექნიკური სპეციალისტების მომზადების ცენტრის" (მეიჯარე) დარაჯი.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, დაწესებულებას, როგორც დამოუკიდებელ სუბიექტს, ჰყავდა თუ არა საკუთარი დარაჯი ან სხვა პირი, რომელიც უზრუნველყოფდა უშუალოდ სკოლაში წესრიგის დაცვას.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას არ ჰყავს საკუთარი დარაჯი. გაკვეთილების მიმდინარეობის დროს კი, სკოლაში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მასწავლებლები, რისთვისაც არსებობს მორიგეობის განრიგი.

საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ვინ ამტკიცებს პედაგოგთა მორიგეობის განრიგს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პედაგოგთა მორიგეობის განრიგს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, ვებგვერდის ნაწილში შენიშვნა შესაძლებელია არ ყოფილიყო გაზიარებული, ვინაიდან სკოლას უკვე დაკავებული ჰქონდა ვებ.სივრცე. თუმცა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ნაწილში, ცხადი იყო, რომ დაწესებულებას ამ მხრივ არანაირი მექანიზმი არ გააჩნდა.

დაწესებულების წარმომადგენლმა დასძინა, რომ იგი ეთანხმება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მზად არის გამოასწოროს დადგენილი ხარვეზი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავჯდომარემ განმარტა საკუთარი უარყოფითი პოზიცია, კერძოდ, თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ვალდებული იყო ჰყოლოდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები, ამასთან, მისი აზრით ასევე მნიშვნელოვანია სკოლის ვებ-გვერდის არ ფუნქციონირების საკითხიც.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით,

მოსწავლეთა რაოდენობის 160-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 160-მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,ინტელექტის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „ინტელექტს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

6. შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ირმა ნოზაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას აქვს ოთახი ლაბორატორიისათვის, სადაც განთავსებულია გარკვეული რაოდენობის ინვენტარი. კერძოდ, მიკროსკოპები, სინჯარები, თვალსაჩინოებები და ა.შ. ადმინისტრაციის განმარტებით, თანამედროვე ლაბორატორიების შეძენა იგეგმება უახლოეს მომავალში, რაც გაწერილი აქვთ, 2011-2012 ს.წ. სტრატეგიულ გეგმაში. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შპს ,,ინსტა-ჯორჯიასთვის“ 2011 წლის 9 აგვისტოს გაგზავნილი №33 წერილი, რომლის შესაბამისადაც, სკოლის დირექტორი, თ. მენაფირე, თხოვნით მიმართავს შპს ,,ინსტა-ჯორჯიას", გამოუყოს ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგია - ანატომიის სასკოლო ლაბორატორიები.

საბჭოს თავმჯდომარემ მომხსენებელს ჰკითხა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მიკროსკოპები და სინჯარები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ეს ინვენტარი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, შენიშვნა მოიხსნა.

1.2 დირექტორის განმარტებით, სკოლის ვებგვერდია www.lampari.dsl.ge, თუმცა ვებგვერდი არის მომზადების პროცესში და უკვე განთავსებულ ინფორმაციას, რომელიც არის ზოგადი ტიპის და ძირითადად შეეხება სკოლის ისტორიას, უნდა დაემატოს ელექტრონული ჟურნალი და სხვა ინფორმაცია. ე. წ. დომენის ხელშეკრულება სკოლას არ წარმოუდგენია.

საბჭოს თავმდჯომარემ იკითხა, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში ამ ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში სწავლობს 484 მოსწავლე.

საბჭოს თავმდჯომარის კითხვაზე, აქვს თუ არა დაწესებულებას გაფორმებული ხელშეკრულება დომენზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მომსახურების მიწოდებაზე უფლებამოსილი პირები განთავსდებიან სკოლაში და მოაწესრიგებენ აღნიშნულ საკითხს.

1.3 სკოლამ ვერ წარმოადგინა გაცემული ატესტატების აღრიცხვის ჟურნალი, მაგრამ აქვთ ამობეჭდილი ფურცლები, რომლებიც დამოწმებულია სკოლის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით, რომელშიც მხოლოდ ერთი ატესტატის გაცემა დასტურდება შესაბამისი ხელმოწერით. ადმინისტრაციის განმარტებით, სხვა ატესტატები ჯერ-ჯერობით არ წაუღიათ. სკოლაში მიმდინარეობს კორესპონდენციის აღრიცხვა, თუმცა დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი სკოლამ ვერ წარმოადგინა. სკოლას აქვს ერთ ბაინდერში მოთავსებული ბრძანებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს ,,ფაილური სისტემა".

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა, რომ ატესტატები არის მკაცრი აღრიცხვის ფორმის დოკუმენტი და შესაბამისად უნდა იყოს აღრიცხული.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, მომხსენებელმა განმარტა, რომ დოკუმენტაციის ნუმერაცია თანმიმდევრულია. საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა მომხსენებელს ჰკითხა, რატომ უნდა ჩათვალოს საბჭომ, რომ აღრიცხვა არ მიმდინარეობს, თუ ყველა აქტი თანმიმდევრულად არის დანომრილი. ამასთან, ექსპერტმა, ნათია ქაჯაიამ დაადასტურა, რომ აღრიცხვა სანდოა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული შენიშვნა მოიხსნა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა მოსწავლეთა რაოდენობის 500-ით განსაზღვრის შესახებ. ამასთან, მან განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში ირიცხება 484 მოსწავლე. ცენტრის წარმომადგენელმა, ნანა ჭიღლაძემ განაცხადა, რომ ძველი ფორმულის მიხედვით, დაწესებულებას განესაზღვრებოდა 292 მოსწავლე. ახლა კი ის ითხოვს ორჯერ მეტ რაოდენობას. ნანა ჭიღლაძემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, თუ როდის მოწესრიგდებოდა ფართთან დაკავშირებული გარემოებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე არ იცოდა, თუ როდის უზრუნველყოფდა ფართთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას.
სხდომაზე გამოირკვა, რომ დაწესებულებას ჰყავს 4 სერტიფიცირებული მასწავლებელი.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ცენტრი თანახმა არის დაწესებულებას განესაზღვროს მოსწავლეთა რაოდენობა 484-ით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ზვიად გამსახურდიას სახელობის დავით მენაფირის სკოლა „ლამპარს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 484-ით.

7. შპს - კაგელცეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - კაგელცეს თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით

1.1. ყველა სახელმძღვანელო გრიფირებულია ინგლისური ენის სახელმძღვანელობის გარდა.

1.2. სკოლამ წარმოადგინა 2011-2012 სასწავლო წლის საათობრივი ბადე, I - XII კლასის ჩათვლით, რომელიც ამობეჭდილია ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მითითებით კი, 2011-16 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მოცემულობები, I-VI კლასის გარდა, უნდა ამოქმედდეს 2012-2013 სასწავლო წლიდან.

1.3. საგნობრივ პროგრამებში, აგრეთვე კალენდარულ გეგმებში დაკონკრეტებული არ არის შეფასების კრიტერიუმები, რუბრიკები. სკოლაში შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობის მექანიზმი არ არსებობს.

1.4. სკოლას არ აქვს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. თუმცა სკოლას აქვს კითხვარის ფორმები როგორც მასწავლებელისათვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რომელიც, დირექტორის განმარტებით, გამოიყენება სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მომხსენებელს დაეზუსტებინა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებული პირველი შენიშვნა.

მომხსენებლის განმარტებით, სკოლა უცხო ენის სწავლებისას, კერძოდ კი ინგლისურ ენაში, არ სარგებლობდა გრიფირებული სახელმღვანელოებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა ინგლისური ენის სწავლებისათვის რომელ სახელმძღვანელოებს იყენებდა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას შეძენილი არ ჰქონდა ახალი სასწავლო წლისთვის ინგლისურ ენაში სახელმძღვანელო. თუმცა, რესურსცენტრში წარდგენილი ჰქონდა განცხადება დონეების მიხედვით და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით გრიფირებული სახელმძღვანელოების მიღების თაობაზე. მხარემ აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად წარმოადგინა რესურსცენტრში წარდგენილი განაცხადი.

საბჭომ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება და არ გაითვალისწინა ექსპერტის პირველი შენიშვნა.

მეორე შენიშვნასთან მიმართებით, საბჭოს თავმჯდომარემ კვლავ სთხოვა მომხსენებელს დაეზუსტებინა შენიშვნის არსი.

მომხსენებლის განმარტებით, დაწესებულებას თავისი ინიციატივით I-VI კლასიდანვე დანერგილი ჰქონდა ეროვნული სასწავლო გემის მოცულობები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მითითებით ამ კლასებში 2012-2013 სასწავლო წლიდან არ უნდა ამოქმედებულიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, დაირღვა თუ არა დაწესებულების მსგავსი ქმედებით კანონმდებლობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სკოლის მიერ დაწყებით კლასებში თავისი ინიციატივით ეროვნული გეგმების მოცულობების დანერგვამ გამოიწვია სასწავლო წლის საათობრივი ბადის არასწორი განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ კერძო სკოლას აქვს უფლება, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს დაწყებითი კლასებიდან დანერგავს ეროვნული სასწავლო გეგმის მოცემულობებს თუ მაღალ კლასებში. მისი განმარტებით აღნიშნული არ შეიძლება წარმოადგენდეს დარღვევას.

სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, სკოლას სავალდებულო სასწავლო დისციპლინებთან მიმართებით სასწავლო საათობრივი ბადის გადანაწილების დროს დარღვევა ფიქსირდებოდა თუ არა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დასკვნაში შენიშვნა არ არსებობდა.

სხდომის თავმჯომარემ განაცხადა, რომ იზიარებს საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ თუ სკოლას სავალდებულო საგანთა საათობრივი ბადე არ შეუმცირებია, მისი მხრიდან დარღვევად არ შეიძლება ჩაითვალოს წინსწრებით დაბალ კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმის მოცემულობების ამოქმედება.

საბჭომ გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება და არ გაითვალისწინა ექსპერტის შენიშვნა.

საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშრებით დაფიქსირებულ მესამე შენიშვნაზე საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა განემარტა, რომელი სამართლებრივი აქტით ჰქონდა დადგენილი შეფასების კრიტერიუმები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით შეფასების კრიტერიუმები გათვალისწინებული არ არის საგნობრივ სილაბუსებში, თუმცა აღნიშნული გათვალისწინებული აქვთ სასკოლო სასწავლო გეგმაში.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს ადასტურებდა თუ არა წარმომადგენლის პოზიციას.

ექსპერტმა, ირინა დვალმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში არ მოიპოვებოდა დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნებოდა შეფასების კრიტერიუმები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, სკოლაში ხდებოდა თუ არა შეფასების სისტემის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის.

მხარის განმარტებით სკოლაში მოსწავლეთა შეფასების გაცნობას უზრუნველყოფდნენ მშობელთა კრებაზე ვერბალური ფორმით. ამას გარდა, სკოლის დირექტორის განცხადებით მოსწავლეთა მიერ მიღებული შეფასებების გადატანა ხდებოდა სასკოლო ჟურნალებში.

თავმჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა, გადაამოწმა თუ არა სასკოლო ჟურნალები.

ექსპერტის განმარტებით, ჟურნალების გადამოწმება არ ჩათვალეს მიზანშეწონილად.

სხდომის თავმჯდომარე სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის არარსებობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ შენიშვნაზე, სთხოვს დაწესებულების წარმომადგენელს დააფიქსიროს თავისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმები როგორც მასწავლებელისათვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, რომელსაც აქტიურად იყენებს სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად.

სხდომის თავმჯდომარე ეკითხება დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ღონისძიებებს ატარებს სკოლა კითხვარის საფუძველზე.

სკოლის წარმომადგენელის განცხადებით, კითხვარის შედეგად დაფიქსირებულ ფაქტებზე სკოლაში ყოველთვის ხდება შესაბამისი რეაგირება.

თავმჯდომარემ მხარეს სთხოვა დაეზუსტებინა თუ რას გულისხმობდა შესაბამის რეაგირებაში და რაში აისახებოდა გამოკითხვის შედეგები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები სკოლას სამართლებრივი აქტით არ აქვს დადგენილი, თუმცა ფაქტობრივად ყოველ შემთხვევაში უზრუნველყოფენ გარემოებების გამოკვლევას და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავებას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან დაკავშირებით შპს - კაგელცეს შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში ასახული გარემოებებიდან, ცენტრის თანამშრომელმა ლიკა გიორგაძემ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

2.1 სკოლას აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ინვენტარი არ არის ცენტრის რეკომენდაციების შესაბამისი და არის ძველი.

2.2 სკოლის ვებგვერდი www.mnatobi.ge ამჟამად არ მუშაობს, თუმცა სკოლას აქვს ბლოგი http://mnatobi.blog.com, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია, კონტაქტები, ინფორმაციის განახლება ხდება განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით.

2.3 სკოლა აწარმოებს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვას. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს მხოლოდ ჟურნალები, თავად კორესპონდენციები არ არის შენახული.

პირველ შენიშვნასთან მიმართებით სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, დაწესებულებისთვის ცენტრის რეკომენდაციები სავალდებულო ძალის მქონე იყო თუ არა.

მომხსენებლის განმარტებით აღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულია ცენტრის მიერ და, შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნება თუ დაწესებულება გაითვალისწინებს მას.

საბჭომ არ გაიზიარა ამ ნაწილში ექსპერტის შენიშვნა.

მეორე შენიშვნასთან მიმართებით საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბლოგი თავის მხრივ ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ვებგვერდის ნაცვლად. გარდა ამისა, თავმჯდომარის განმარტებით, სტანდარტის შესაბამისად, დაწესებულებას ევალება ვებგვერდის შექმნა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა თავმჯდომარის განმარტებას და აღნიშნა, რომ ვებგვერდის რეკონსტრუქცია განხორციელდებოდა უახლოეს მომავალში.

საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, აღნიშნული შენიშვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გავლასთან მიმართებით დამაბრკოლებელ გარემოებას. ეს მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით შპს - კაგელცეს შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი არ დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა აქვს, მიიღოს 160 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კაგალცეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 160-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კაგელცეს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 160-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან დაწესებულების ვებგვერდი არ ასრულებდა საკომუნიკაციო ფუნქციას, აღნიშნული გარემოება მიჩნეულ უნდა ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევად. თავმჯდომარის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ბლოგი თავის მხრივ ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ვებგვერდის ნაცვლად, რადგან სტანდარტში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკომუნიკაციო ფუნქციის მატარებელი ვებგვერდი და არა ბლოგი. თავმჯდომარემ ასევე გაიზიარა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის არარსებობასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ საექსპერტო შენიშვნაც.

8. შპს - „გრაალის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404901166) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - ,,გრაალის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - ,,გრაალის" თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - ,,გრაალი“ 24-საათიანი სარგებლობის უფლებით ფლობს ერთ მისამართზე არსებულ 536.87 კვ. მ. ფართს. შენობის მესაკუთრესთან გაფორმებულია ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (№882011328106). ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული არ არის, რომ საჯარო რეესტრის მიერ დარეგისტრირებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში დამქირავებლად რეგისტრირებულია არა შპს - ,,გრაალი", არამედ ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი.

1.2 შპს - ,,გრაალს" ამ ეტაპზე არ აქვს სპორტული დარბაზი. შენობაში გამოყოფილია ადგილი, სადაც, სკოლის დირექტორის განმარტებით, სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება დარბაზის მოწყობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი არის დაწესებულების 100% წილის მფლობელი, აღნიშნული ქირავნობის ხელშეკრულება მის მიერ იყო გაფორმებული და საჯარო რეესტრშიც დამქირავებლად დარეგისტრირდა ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი. მისივე თქმით, ექსპერტებს ვიზიტის დროს აღნიშნულ ფაქტზე არაფერი აღუნიშნავთ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები სპორტულ დარბაზში. სარემონტო სამუშაოები დასრულდება ოქტომბრამდე. მანამდე კი, დაწესებულებას უკვე აქვს ღია საცურაო აუზი, რომელშიც ოქტომბრის თვემდე ჩატარდება ცურვის გაკვეთილები. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის ექსპერტს, მიხეილ ტეფნაძეს, ადასტურებდა თუ არა აუზის არსებობას და მის ფუნქციონირებას. ექსპერტმა დაადასტურა ფაქტი.

საბჭოს თავმჯდომარემ 22:20 საათზე გამოაცხადა შესვენება.

სხდომა განახლდა 22:30 საათზე.

შესვენების შემდგომ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს დანარჩენ წევრებს, ხომ არ ჰქონდათ აზრის გამოთქმის სურვილი მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით. ქალბატონმა ლალი ღოღელიანმა განაცხადა, რომ ვინაიდან სხვა შენიშვნა არ არის დაფიქსირებული, იგი დადებითათ აფასებს დაწესებულების მიერ სტარდარტთა დაკმაყოფილების საკითხს. საბჭოს წევრის, იოსებ სალუქვაძის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი არის დაწესებულების ასპროცენტიანი წილის მფლობელი, ამ საკითხთან დაკავშირებული შენიშვნა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული საბჭოს მიერ.

აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი დააფიქსირა თავმჯდომარემ, რომლის განმარტებით, გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართის თაობაზე საჯარო რეესტრის მიერ დარეგისტრირებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში დამქირავებლად რეგისტრირებული იყო არა შპს - ,,გრაალი", არამედ ქეთევან ლომინაძე-სახელაშვილი, აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას. რადგან სამართლებრივად დაწესებულებას არ უდასტურდებოდა შენობის ფლობა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - ,,გრაალის" შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 60-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 60-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 60 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,გრაალის" ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება: ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ,,გრაალს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 60-ით.

9. შპს - საშუალო სკოლა „ლამპარის“ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებაში ხელშეკრულებების მხოლოდ ნაწილის აღრიცხვა ხდება. თუმცა, დაწესებულების წარმომადგებლის განცხადებით, სექტემბრიდან მასწავლებლებთან და მშობლებთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებისას, ყველა მათგანის რეგისტრაცია იგეგმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - საშუალო სკოლა „ლამპარის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა ექსპერტთა შეფასებებს.

თავმჯომარემ, წარმოდგენილ შენიშვნასთან დაკავშირებით, კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, დაწესებულებაში ხდებოდა თუ არა ბრძანებების და სხვა დოკუმენტების აღრიცხვა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში, გარდა ხელშეკრულებებისა, სხვა დოკუმენეტებთან მიმართებით შენიშვნა არ ფიქსირდებოდა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას დადებული აქვს კომპიუტერების შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სკოლამ შეიძინა დამატებით 3 კომპიუტერი. ამ ფაქტიდან გამომდინარე, სკოლის დირექტორმა მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით განაცხადა, რომ სკოლას შესაძლებლობა აქვს 170 მოსწავლის პირობებში სტანდარტი სრულად დააკმაყოფილოს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მტკიცებულების სახით წარმოედგინა კომპიუტერების თაობაზე ნასყიდობის ხელშეკრულება. მხარემ წარმოადგინა სამი დოკუმენტი, რომელთაგან მხოლოდ ერთი შეიცავდა მითითებას კომპიუტერის შეყიდვის თობაზე.

სხდომის თავჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა გადაემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაერთო საქმისათვის. გადამოწმების შედეგად დაწესებულებას მხოლოდ ერთი კომპიუტერის ნასყიდობა დაუდასტურდა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალურ რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა იმ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას, რამდენიც შუამდგომლობაში დააფიქსირეს. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 122 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საშუალო სკოლა „ლამპარის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის 122-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საშუალო სკოლა „ლამპარს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 122-ით.

10. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ლიკა გიორგაძემ, რომელმაც საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შენიშვნები საავტორიზაციო ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 400 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - თბილისის ნიჭიერთა კერძო სკოლა აკადემიას მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

11. შპს - „სასწავლო ცენტრ XXI"-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „სასწავლო ცენტრი XXI" მდებარეობს ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას პირველი შეს. № 8–ში. შენობის პირველი სართულის ნაწილი, მეორე სართული მთლიანად და მანსარდში ამოშენებული მესამე სართული (სულ 616,41 კვ.მ.) ეკუთვნის სკოლის დირექტორს ქ-ნ ლალი აბაშიძეს. მესაკუთრეს ფართი შპს - „სასწავლო ცენტრ XXI"-ისათვის უსასყიდლო ხელშეკრულებით აქვს გადაცემული, მაგრამ ხელშეკრულება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, შესაბამისად, დაწესებულებას მოცემული დროისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ფართის ფლობა არ უდასტურდება.

საბჭოს თავჯდომარემ კითხივთ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ არ დაარეგისტრირა ხელშეკრულება საჯარო რეესტრში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ექსპერტთა მიერ ხარვეზის დაფიქსირებამდე, მას არ მიაჩნდა საკითხი პრობლემატურად. ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მან მიმართა საჯარო რეესტრს შესაბამისი წესით უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, თუმცა წარმოება შეჩერდა იმის გამო, რომ ფართის თანამესაკუთრეს უნებართვოდ ჰქონდა აშენებული ავტოფარეხი. შესაბამისად, საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, აუცილებელი გახდა მერიისადმი მიმართვა, რამაც გამოიწვია რეგისტრაციის პროცედურის გაჭიანურება.

საბჭოს წევრმა იოსებ სალუქვაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, იყო თუ არა ფართი გამიჯნული თანამესაკუთრეთა შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფართი თანამესაკუთრეთა შორის გამიჯნული იყო და წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და ხმათა უმრავლესობით მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 150 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „სასწავლო ცენტრ XXI"-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.

12. შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს – თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ანა ბუჩუკურმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულების მფლობელობაში არსებული შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 4 ოთახი. აღნიშნული საკლასო ოთახებიდან ერთს არ აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. მხოლოდ ერთ ოთახში არის განთავსებული სასწავლო ინვენტარი. საგანმანათლებლო საქმიანობა მიმდინარეობს მეორე სართულზე.

1.2 ამჟამად დაწესებულებას მანდატური არ ჰყავს. დღის განმავლობაში სკოლაში წესრიგის დასაცავად შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, პირველ სართულზეც განლაგდება საკლასო ოთახები, რომელთა კეთილმოწყობასაც უზრუნველყოფს დაწესებულება. მეორე ფაქტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სასწავლო წლის დაწყებისას დაწესებულება გააფორმებს ხელშეკურლებას მანდატურთან.

საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, იყო თუ არა შენობის მეორე სართული დაწესებულების მფლობელობაში. ანა ბუჩუკურმა დაადასტურა აღნიშნული ფაქტი. ამასთან, დადასტურდა ის გარემოებაც, რომ დაწესებულებაში დამონტაჟებულია ვიდეოთვალები დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 90-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა აღნიშნული დაადასტურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს – თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 90-ით.

13. შპს - ხელოვნების სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ სხდომას არ ესწრებოდა დაწესებულების წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა იყო ნეგატიური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი, რის გამოც უმჯობესი იქნებოდა თუ საბჭო კიდევ ერთხელ მისცემდა შესაძლებლობას დაწესებულებას მონაწილეობა მიეღო საკითხის განხილვაში. შესაბამისად, მან იშუამდგომლა საკითხის მომდევნო სხდომაზე გადატანის შესახებ. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ საკითხი განხილული იქნებოდა მომდევნო სხდომაზე.

ამასთან, საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელი მოეწვია მომდევნო სხდომისთვის.

14. შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - „მერმისის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - „მერმისის“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა ანა ბუჩუკურმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე:

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 დაწესებულებას არ ჰყავს მანდატური. წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ თითოეულ სართულზე გამოყოფილი მორიგე მასწავლებლები, შტატში აყვანილი კოორდინატორი აღმზრდელობით დარგში, ლოჯისტი და დაცვის 2 წევრი.

საბჭომ არ გაითვალისწინა ექსპერტის მიერ დაფიქსირებული აღნიშნული შენიშვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ ჰქონია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 400-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 300 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა „მერმისის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - „მერმისს" მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

15. შპს - „დათას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202901958) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ შპს - „დათას“ წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. შპს - „დათას“ წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - „დათას“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი საფეხბურთო კლუბ ,,საბურთალოსთან“. მემორანდუმის ფარგლებში ზემოაღნიშნული კლუბი იღებს ვალდებულებას, ჩაუტაროს სკოლის მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები, თუმცა ვინაიდან საფეხბურთო კლუბის მოედანი ფიზიკურად შორსაა ცხრილის მიხედვით, მოსწავლეებს გაუჭირდებათ გადაადგილება.

1.2 ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა I-III კლასის მათემატიკის სახელმძღვანელო (ავტორები: გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე, ი. მებონია) და VI კლასისათვის არჩეული არც ერთი სახელმძღვანელო.

1.3 სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც დამუშავების პროცესშია და ამჟამად ვერ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს მოსაზრების წარდგენა სპორტის გაკვეთილების თაობაზე და მიმართა კითხვით, თუ სპორტის რომელი სახეობები ისწავლებოდა სკოლაში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას ჰყავდა პედაგოგები, რომლებიც ატარებდნენ სპორტის გაკვეთილებს. სკოლაში ისწავლებოდა ფეხბურთი და კარატე, ასევე გათვალისწინებული იყო ზოგადი ფიზიკური მომზადება.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითვით ექსპერტს, სად ტარდებოდა კარატეს გაკვეთილები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კარატეს გაკვეთილების ჩასატარებლად დაწესებულება იყენებდა მანსარდაში მოწყობულ დარბაზს.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულებას, სად მდებარეობდა საფეხბურთო კლუბ ,,საბურთალოს“ სპორტული მოედანი და რამდენად იყო შესაძლებელი მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილება სასწავლო პროცესის შეფერხების გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლა მდებარეობდა ნუცუბიძის ქუჩაზე, ხოლო სპორტული მოედანი - ასათიანის ქუჩაზე. მგზავრობა უზრუნველყოფილია სკოლის ავტობუსით, რომელიც ორგანიზებულად ახორციელებს მოსწავლეთა გადაადგილებას. აქვე, დაწესებულების წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მათ ჰქონდათ ძველი ცხრილი, ხოლო ამჟამად უკვე შემუშავებულია ახალი ცხრილი, რომლის მიხედვითაც სპორტის გაკვეთილები ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება სახელმძღვანელოების პრობლემასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სახელმძღვანელოები ახლახანს გამოვიდა გაყიდვაში, ისინი უახლოეს მომავალში უზრუნველყოფენ მათ შეძენას.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მითითებული წიგნები აქამდეც არსებობდა, ისინი ჩვეულებრივ იყო გაყიდვაში და დაწესებულება ვალდებული იყო ეზრუნა მათ შეძენაზე.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განმარტება ვებგვერდთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვებგვერდი ფაქტიურად დამთავრებულია და უკვე დევს მასზე საკონტაქტო ინფორმაცია.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს გადაემოწმებინა დაწესებულების ვებგვერდი, გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ სკოლას აქვს დომეინი და ვებგვერდი, თუმცა ეს უკანასკნელი არ ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან შპს - „დათას" შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი ძირითადად დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 80-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 49 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის

შესაბამისად, შპს - „დათას“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 49-ით.

16. შპს - NK - ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 200012743) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - NK - ს თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა, ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც საბჭოს განუცხადა, რომ ექსპერტთა მიერ შენიშვნა არ დაფიქსირდა არც ერთ სტანდარტთან მიმართებით.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 290-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 290 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, ცენტრში წარედგინა სერტიფიცირებულ მასწავლებელთა შესახებ მონაცემები და შესაბამისი დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ,,NK"-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 290 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - NK-ს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 290-ით.

17. შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვმა, რომელმაც ასევე მიაწოდა საბჭოს ინფორმაცია დაწესებულების სახელწოდების ცვლილების შესახებ, ხოლო შემდეგ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

ცენტრში ავტორიზაციის მაძიებლად ცნობილ იქნა - შპს მრავალპროფილიანი ჰუმანიტარული ინსტიტუტი (ს/კ 211333305), ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას შეცვლილი ჰქონდა სახელი და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონი“ ასევე ((ს/კ 211333305)

1.შენიშვნები მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულება 2008 წლის 8 აგვისტოს ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო-პროფესიულ არატიპურ სახელოვნებო სასწავლებელთან დადებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად ფლობს გიორგი ბრწყინვალე N41 „ა“ - ში არსებულ ფართს - 800 კვ. მ.-ს. საერთო აზომვით ნახაზში არ იყო მითითებული, თუ კერძოდ, რა ფართია გამოყოფილი სკოლისათვის. დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად მოხდა შენობის დათვალიერება და დადგინდა, რომ სკოლა ფაქტობრივად ფლობს 805,53 კვ. მ.-ს. ახალი, 2011 წლის 19 აპრილის ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულება ფლობს 1200 კვ. მ. ფართს, თუმცა შენობის ამ ნაწილში, ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარებდა სარემონტო სამუშაოები. ამასთანავე საჯარო რეესტრში არ არის დარეგისტრირებული არც ძველი და არც ახალი იჯარის ხელშეკრულება (საკადასტრო კოდი: 01.10.06.007.010)

დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, და განაცხადა, რომ იჯარის ხელშეკრულება უკვე დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში 800 კვ.მ ზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრისას საბჭოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ სკოლას აქვს 15 კომპიუტერი, ხოლო ექსპერტთა დასკვნაში მითითებულია 9 კომპიუტერი. აღნიშნულის გადასამოწმებლად საბჭოს თავმჯდომარემ

განახორციელა სატელეფონო ზარი ავტორიზაციის ექსპერტ ქეთევან ბოტკოველთან, რომელმაც განაცხადა, რომ არ ახსოვდა საქმესთან დაკავშრებული გარემოებები. საბჭოს თავმჯდომარემ გადაამოწმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომელშიც მითითებული იყო 9 კომპიუტერი,

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი-კერძო სკოლა „ივერონს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

18. შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლას „ათინათის“ თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის თანამშრომელმა თამარ ურუშაძემ, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებზე

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

დაწესებულებაში არსებობს მინი სპორტული დარბაზი, რომელიც განთავსებულია სკოლის სხვენში. დარბაზი აღჭურვილია სკოლის მიერ არჩეული სპორტის სახეობის შესაბამისი ინვენტარით. გარდა ამისა, დირექტორის განმარტებით, სკოლა სარგებლობს ეზოში მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში არსებული სპორტული მოედნით, რომელიც დაწესებულების ფინანსებით არის მოწყობილი. თუმცა, აღნიშნული სპორტული მოედნით სარგებლობის უფლება, ექსპერტთა ვიზიტის დროს, დოკუმენტურად ვერ დასტურდებოდა. სპორტული აქტივობებისთვის 2010 წლის 1 მარტიდან სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება სს - სპორტკომპლექს ,,ლაგუნა-ვერესთან", რომელიც ითვალისწინებს ცურვის შემსწავლელი და გამაჯანსაღებელი მეცადინეობების ჩატარებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენლებს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით, მისცა შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა შეფასებას და აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში მდებარე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში არსებული სპორტული მოედანი, გაკეთებული იყო სკოლის ფინანსებით და დაწესებულება წლების განმავლობაში იხდიდა მიწის გადასახადს. წარმომადგენლის განცხადებით, 2011 წლის 6 სექტემბერს სკოლამ მონაწილეობა მიიღო აღნიშნული მოედნის შესყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებულ აუქციონში, რომელშიც გაიმარჯვა და საკუთრების უფლება მოიპოვა სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანზე.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მხარემ საბჭოს გადასცა აუქციონის გამოცხადების განაცხადი და განუმარტა, რომ რადგან აუქციონი დასრულდა სხდომის გამართვის დღეს, დაწესებულებამ ვერ შეძლო საბჭოსთვის წარედგინა აუქციონში შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ გამარჯვების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

სხდომის თავჯდომარემ ცენტრის წარმომადგენელს სთხოვა გადაემოწმებინა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაერთო საქმისთვის.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაკავშირებით შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათის“ შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 260-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ სკოლის ადამიანურ რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეეძლო 220 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლას „ათინათის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების” 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათს“ მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის მომდევნო დღეს გაგრძელების საკითხი.

კენჭისყრის შედეგად, სხდომა გაგრძელდა 7 სექტემბერს.

19. შპს - „თამარიონის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 200013653) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის საბჭო დაეთანხმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით

1.1 შპს - „თამარიონს“ საკუთრების უფლებით გადაეცა 148-ე საჯარო სკოლის უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა), ამასთან, დაწესებულების დირექტორის განმარტებით, მათ საკუთრების უფლება აქვთ ასევე 148-ე საჯარო სკოლის ბალანსზე რიცხულ მოძრავ ქონებაზეც (ინვენტარზე), რაც დოკუმენტურად არ დასტურდება.

1.2 სკოლას აქვს უსაფრთხოების 4 კამერა, რომლებიც არ ფიქსირდება 148-ე საჯარო სკოლის (დირექტორის 2010 წლის 21 ოქტომბრის №144 ბრძანებით შექმნილ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ შემუშავებულ) ინვენტარის ჩამონათვალში. ამასთან, შპს - „თამარიონს“ საინვენტარიზაციო ჩამონათვალი არ გააჩნია და არც სხვა რაიმე დოკუმენტი, რომლითაც დადასტურებული იქნებოდა კამერების შეძენის ფაქტი ან მათი პარამეტრები. დოკუმენტურად დასტურდება მხოლოდ შპს - „ჯესკოსგან“ ერთი კამერის შეძენის ფაქტი.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით ექსპერტს, ლიკვიდირებულია თუ არა 148-ე საჯარო სკოლა. ექსპერტმა დაადასტურა, რომ 148-ე საჯარო სკოლა ლიკვიდირებულია.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად საჯარო სკოლათა ლიკვიდაციის დროს დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით, საჯარო სკოლის შენობასთან ერთად, შემძენზე გადადის სკოლაში არსებული ინვენტარიც.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით განემარტა, ჰქონდა თუ არა მიღება-ჩაბარების აქტები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, ვინაიდან მათ შენობა ახლახანს გადაეცათ, მიღება-ჩაბარების აქტები ჯერ მზად არ არის.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, უდასტურდებოდა თუ არა დაწესებულებას შენობის კანონიერი ფლობა.

ექსპერტის განმარტებით, საჯარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით დაწესებულებას უდასტურდება შენობის კანონიერი ფლობა.

საბჭომ იმსჯელა მატერიალური რესურსის სტანდარტთან დაწესებულების შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი არსებითად დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა, დაედასტურებინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წერილობითი შუამდგომლობა, ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 600-ით განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ სკოლას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 600 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე შპს - „თამარიონის“ ავტორიზაციისა და მოსწავლეთა რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე -2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - „თამარიონს'' მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 00:30 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი